ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 279

ქალაქი ქუთაისი 24 ივნისი 2020 წელი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის გენდერული
თანასწორობის საბჭოს ანგარიში გაწეული
საქმიანობის შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მეოთხე პუნქტის, 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის „ბ.თ“ ქვეპუნქტის, „გენდერული თანასწორობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის 1[1] პუნქტის, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის №1 დადგენილების დანართის მე-3 მუხლის მე-8 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის №8 დადგენილების მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტისა და „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 29 იანვრის № 251 განკარგულების საფუძველზე:

მუხლი 1. ცნობად იქნეს მიღებული ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს ანგარიში გაწეული საქმიანობის შესახებ.

(გენდერული თანასწორობის საბჭოს საქმიანობის
ანგარიში განკარგულებას თან ერთვის)

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა № 11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 3. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე,
საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის
შემსრულებელი ირაკლი შენგელია

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს 2020 წლის 24 ივნისის
N 279 განკარგულების დანართი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის
საბჭოს ანგარიში გაწეული საქმიანობის შ ე ს ა ხ ე ბ

გენდერული თანასწორობის საბჭოსათვის 06.2019-06.2020 წლების მონაკვეთი საბჭოს უფლებამოსილების ვადის ისტორიაში რიგით მეორე საანგარიშო პერიოდს წარმოადგენს. მოცემულ მონაკვეთში საბჭოს საქმიანობის მთავარ მიმართულებებს, კვლავაც, გენდერული ბიუჯეტის ფორმირება და მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება წარმოადგენდა. გასული საანგარიშო პერიოდის მანძილზე შენარჩუნდა საბჭოს ინსტიტუციური სრულყოფის პროცესი, კერძოდ, საბჭოს დებულებაში შევიდა ცვლილებები, რომლითაც საბჭოს წევრთათვის საქმიანობის ეთიკური სტანდარტები განისაზღვრა.

1. საბჭოს შეხვედრები

2019 წლის 29 მაისიდან 2020 წლის ივნისის ჩათვლით საბჭომ ჩაატარა 10-ზე მეტი შეხვედრა. აღნიშნული მონაცემი აერთიანებს როგორც საბჭოს სხდომებს, ასევე, სამუშაო შეხვედრებს ერთის მხრივ, საბჭოს მიერ ორგანიზებული პროექტების საკითხებზე და მეორე მხრივ, პარტნიორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის ფორმატებს. ქვეყანაში არსებული კოვიდინფექციის პრევენციის რეგულაციების პირობებში, ჩამოთვლილი სხდომებიდან ერთ-ერთის გამართვა საბჭომ უზრუნველყო დისტანციურ რეჟიმში, შესაბამისი ონლაინ პლატფორმის გამოყენებით.

სხდომების ჩატარების შესახებ ინფორმაცია და სხდომაზე განხილული საკითხები საჯაროვდებოდა საბჭოს თავმჯდომარისა და ასევე, საკრებულოს ოფიციალურ ფეისბუქ გვერდებზე. საბჭოს მიერ ორგანიზებული ღონისძიებები აქტიურად შუქდებოდა ტელევიზიებისა და საინფორმაციო სააგენტოების მიერ.

2. საბჭოს დებულებაში და შემადგენლობაში განხორციელებული ცვლილებები

გენდერული თანასწორობის საბჭოს ინსტიტუციური სრულყოფისათვის 2019 წლის ივნისში, საბჭოს დებულებაში შევიდა ცვლილებები. ცვლილებათა პაკეტი ეხებოდა გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრთათვის ეთიკის ნორმების განსაზღვრას. აღნიშნული ცვლილების საფუძველზე გაიწერა საბჭოს წევრის ეთიკური მუშაობის სტანდარტი და ასევე, საბჭოს წევრისათვის უფლებამოსილების შეჩერების კონკრეტული საფუძვლების ჩამონათვალი და პროცედურული დეტალები.

2019 წლის ივნისში, საბჭომ იმსჯელა ერთ-ერთი წევრისათვის უფლებამოსილების შეჩერების საკითხზე და ერთხმად მიღებული გადაწყვეტილების შედეგად, საბჭო შემცირდა ერთი წევრით. ამავე წლის ივლისში, გენდერული თანასწორობის საბჭომ გამოაცხადა კონკურსი ახალი წევრის მისაღებად და განსაზღვრა შესაბამისი კრიტერიუმებიც. წევრობის მსურველ კანდიდატებს ჰქონდათ შესაძლებლობა შეევსოთ ელექტრონული განაცხადი.

კონკურსის საფუძველზე, საბჭოს რიგებს შემოუერთდა 1 ახალი წევრი და ასევე, საბჭოს პარტნიორის სტატუსის მქონე, ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციის 4 წარმომადგენელი. მათგან, მხოლოდ 1 წარმომადგენელი აგრძელებს საბჭოსთან აქტიურ თანამშრომლობას.

ამჟამად, საბჭოს შემადგენლობა განისაზღვრება 18 წევრით.

3. გენდერული თანასწორობის საბჭოს მიერ 2019-2020 წლებში განხორციელებული ღონისძიებები:

საინფორმაციო კამპანია გენდერული ძალადობის წინააღმდეგ

2019 წლის ნოემბრის თვეში, ქუთაისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭო გენდერული ძალადობის წინააღმდეგ 16-დღიან გლობალურ კამპანიას შეუერთდა და საინფორმაციო შეხვედრების ციკლი გამართა. ციკლი სამი თემატური მიმართულებით განხორციელდა: 1. გენდერული თანასწორობის საბჭოს საქმიანობის მიმართულებები, მიღწევები და შესაძლებლობები; 2. სახელმწიფოში ქალთა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის, პრევენციისა და დაცვის არსებული მექანიზმები და სერვისები; 3. ქუთაისის მუნიციპალიტეტის პროგრამები სხვადასხვა სოციალური ჯგუფების მხარდასაჭერად და გასაძლიერებლად.

კამპანია მიზნად ისახავდა ქალთა მიმართ ძალადობის საკითხებზე საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებასა და ქალთა უფლებების ირგვლივ სამოქალაქო კონსოლიდაციის გაძლიერებას.

საინფორმაციო ციკლის შეხვედრები ჩატარდა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 11 ადმინისტრაციულ ერთეულში. შეხვედრების შესახებ ინფორმაცია გაშუქდა ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და საბჭოს თავმჯდომარის ოფიციალურ „facebook“ გვერდებზე. ციკლის დასრულების შემდეგ, საბჭოს წევრები მიწვეული იყვნენ ადგილობრივ ტელევიზიაში, სადაც მათ შეაჯამეს კამპანიის მთავარი აქცენტები, მიგნებები და ისაუბრეს სამომავლო ნაბიჯებზე.

ფორუმი: თანამედროვე გამოწვევები თანამედროვე გადაწყვეტებით

2019 წლის 19 ნოემბერს, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს ეგიდით და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მხარდაჭერით გაიმართა ფორუმი „თანამედროვე გამოწვევები თანამედროვე გადაწყვეტებით“.

ფორუმი ჩატარდა გაეროს მიერ დაწესებულ ბავშვთა მსოფლიო დღესთან (20 ნოემბერი) დაკავშირებით და მისი მიზანი იყო ბავშვთა განვითარებისა და განათლების საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციებისათვის, კერძო პირებისათვის შეეთავაზებინა საინფორმაციო და სადისკუსიო პლატფორმა, სადაც განხილული იქნებოდა ერთის მხრივ, ის სპეციფიკური გამოწვევები, რომლებიც თანამედროვეობაში ბავშვების აღზრდა-განვითარებისა და მათი უფლებების რეალიზების კუთხით არსებობს; მეორეს მხრივ, კი მომხსენებლები წარმოადგენდნენ პრევენციული ხასიათის რეკომენდაციებს, წარმატებულ პრაქტიკებს და ინფორმაციას სახელმწიფოში არსებული კონკრეტული სერვისების, შესაძლებლობებისა და დაცვის მექანიზმების შესახებ, ბავშვთა საჭიროებების მიმართულებით.

ღონისძიების პირველ პანელში წარმოდგენილი იყო სახალხო დამცველის აპარატი; პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატი; ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო. მეორე პანელში, აუდიტორიის წინაშე წარსდგნენ ბავშვთა განვითარების, განათლებისა და ფსიქო – ემოციური თუ ფიზიკური ჯანმრთელობის საკითხებზე მომუშავე სხვადასხვა დარგის სპეციალისტები და არასამთავრობო ორგანიზაციები.

ფორუმს 50-ზე მეტი ადამიანი დაესწრო. ღონისძიების პირდაპირი ტრანსლირება მიმდინარეობდა საკრებულოს ოციფიალურ „facebook“ გვერდზე. დაინტერესებულ პირებს აქვთ შესაძლებლობა გაეცნონ ფორუმის გაშუქების მედიამასალებს და მოუსმინონ ფორუმის სრულ ჩანაწერს „youtube“-ზე.

პროექტი „სტუდენტები გენდერული ბიუჯეტისთვის“

ქუთაისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭომ წევრ ორგანიზაციებსა და საჯარო უწყებებთან თანამშრომლობით განახორციელა პროექტი „სტუდენტები გენდერული ბიუჯეტისთვის“. პროექტი მიზნად ისახავდა ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტში გენდერული თანასწორობის ასპექტების გაძლიერებას და ბიუჯეტირების პროცესში ახალგაზრდების ჩართვას.

პირველ ეტაპზე მოხდა ახალგაზრდების გადამზადება ადგილობრივი თვითმმართველობის არსისა და კომპეტენციების; გენდერის, გენდერული მეინსტრიმინგისა და სოციოლოგიური კვლევების პრაქტიკის მიმართულებით. სტუდენტები დაესწრნენ სემინარებსა და ტრენინგებს. მეორე ეტაპზე კი, პროექტის მონაწილეებმა გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრებთან ერთად უზრუნველყვეს მოქალაქეთა საჭიროებების კვლევის ჩატარება.

პროექტი 2019 წლის ნოემბრიდან 2020 წლის თებერვლის ჩათვლით მიმდინარეობდა და მასში აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის 15-მდე სტუდენტმა მიიღო მონაწილეობა.

მოქალაქეთა საჭიროებების კვლევა

2020 წლის თებერვალში, ქუთაისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭომ, პროექტის „სტუდენტები გენდერული ბიუჯეტისთვის“ მონაწილეებთან ერთად უზრუნველყო მოქალაქეთა საჭიროებების კვლევის ჩატარება. კვლევა მიზნად ისახავდა ქალაქ ქუთაისში მცხოვრები მოქალაქეების საჭიროებების, გამოწვევების გამოვლენას და პირადი თუ ქალაქის სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერების თაობაზე ხედვების გაცნობას. კვლევის მიზანი ასევე, იყო გენდერული ნიშნით ძალადობის მიმართ არსებული განწყობებისა და ძალადობისგან დაცვის შესაძლებლობების შესახებ ინფორმირებულობის ხარისხის განზღვრა.

კვლევამ დაფარა ქალაქ ქუთაისში მცხოვრები, 18 წლიდან 80 წლამდე ასაკის, სხვადასხვა პროფესიისა და საქმიანობის სფეროს წარმომადგენელი 70-მდე მოქალაქე. კვლევა ფოკუს ჯგუფის ფორმატით ჩატარდა და მოიცვა შემდეგი ჯგუფები: 1. ბაგა-ბაღების პედაგოგები, სოციალური მომსახურების სააგენტოს თანამშრომლები, კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის ბენეფიციარები; 2. ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების წარმომადგენლები; 3. ჟურნალისტები, არასამთავრობო ორგანიზაციების თანამშრომლები; 4. სტუდენტები; ახალგაზრდები 30 წლამდე; 4. სამედიცინო კლინიკების თანამშრომლები; სოციალური მომსახურების სააგენტოს, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს წარმომადგენლები; 5. მუნიციპალური ააიპ-ებისა და შპს-ების თანამშრომლები.

შენიშვნა: წინამდებარე არგარიში, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 31-ე სხდომაზე, 2020 წლის 24 ივნისს, წარმოდგენილ იქნა ქუთაისის გენდერული თანასწორობის საბჭოს მდივნის, ანა შალიკიანის მიერ.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე,
საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის
შემსრულებელი ირაკლი შენგელია